პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

20 მაისი
შაბათი,
1961 წ.
№ 62 (1698)
გამოცემის მე-17 წელი
ფასი 3 კაპ.

★

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მრავალდღიან ველორბოლაში გამარჯვებული საქართველოს „კოლმეურნის" გუნდი. მარცხნიდან — ნ. ტრეტიაკოვი, ე. უსლოვი, მწვრთნელი ა. გუნია, რ. გუძი და ვ. სიკორსკი.

★

ამერიკელი მწვრთნელის აზრით

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). როგორც ცნობილია, ლენინგრადში ჩატარებული ამხანაგური საერთაშორისო მატჩების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები სამშობლოში დაბრუნდნენ. გამგზავრების წინ მოსკოველი ჟურნალისტები ესაუბრნენ ვაჟთა ნაკრები გუნდის მწვრთნელს ჯო მაკლენდონს, რომელმაც აღნიშნა, რომ სსრ კავშირში მოგზაურობამ ბევრი საინტერესო მისცა მასა და მის აღზრდილებს. ისინი განსაკუთრებით მოიხიბლნენ საბჭოთა მაყურებლებით, რომლებიც კალათბურთის კარგ ცოდნას ავლენდნენ. საბჭოთა გუნდებიდან ჯ. მაკლენდონმა განსაკუთრებით აღნიშნა, სსრ კავშირის ნაკრები, თბილისის „დინამო" და კიევის სკიფი, ხოლო ცალკეულ კალათბურთელებიდან — ზუბკოვი, უგრეხელიძე, სტრემოუხოვი და ალაჩაჩიანი.

კითხვაზე, თუ რა ნაკლოვანებები ახასიათებს საბჭოთა კალათბურთელების თამაშს, ჯ. მაკლენდონმა სთქვა, რომ პირველყოვლისა საჯარიმო სროლების სუსტი შესრულება. ასე რომ არ ყოფილიყო, შეიძლება სხვაგვარად წარმართულიყო ჩვენი და თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა შეხვედრა.

საქმე იმაშია, რომ თქვენი კალათბურთელები საჯარიმო სროლებს ასრულებენ ძალზე ტექნიკურად, მაგრამ კრიტიკულ მომენტში ღალატობთ ნერვები. ჩვენთან საჯარიმო სროლებს ვასწავლით ფარქვეშ ბრძოლის იმპროვიზაციით და მაგნიტოფონის საშუალებით გამოწვეული დიდი ხმაურის ატმოსფეროში.

თქვენი კალათბურთელები ძალზე ძუნწად ასრულებენ კალათში სროლებს საშუალო მანძილიდან და თუ მას ასრულებენ, ძალზე სტატიკურ მდგომარეობიდან. ეს ხელს უწყობს მოწინააღმდეგე გუნდს დაიცვას თავი ყოველგვარი უსიამოვნებისაგან. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ყველა გუნდი, დაკომპლექტებულია მაღალი ტანის კალათბურთელებით. ამის მიუხედავად ჩვენ მათ ვჯობნიდით ფარქვეშ ბრძოლაში. ეს იმით აიხსნება, რომ თქვენი მაღალი ტანის კალათბურთელები ძალზე უხეიროდ ირჩევენ ადგილს ფარის ქვეშ, გვიან ხტებიან ბურთის დასაუფლებლად და არაზუსტად ასრულებენ ფარის ქვეშიდან კალათში ბურთის გდებას.

კორესპონდენტებმა ჰკითხეს ამერიკელ მწვრთნელს თუ რა დროს ანდომებს იგი მოთამაშეთა ფიზიკურ მომზადებას. ამაზე ჯ. მაკლენდონმა უარყოფითად უპასუხა. ეს ჩვენი საქმე არაა. მოთამაშემ თვითონ უნდა მოამზადოს თავისი თავი. ამერიკულ კალათბურთში არაა საჭირო სპორტსმენთა ათლეტიზმზე ფიქრი, რადგან ძლიერ გუნდებში კალათბურთელები მოდიან ფიზიკურად ძალზე კარგად მომზადებულნი.

ორიოდე სიტყვა ბავშვთა შორის მუშაობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ჩვენთან მომავალი კალათბურთელებისათვის შექმნილია ისეთი კარგი პირობები, როგორიც დიდებისათვის, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ბავშვების სათამაშო მოედანი შედარებით პატარაა, ფარები დაბალი და ბურთი უფრო მსუბუქი. მე, როგორც მითხრეს, მსგავს ვითარებაში ატარებს ბავშვებთან წვრთნას სახელგანთქმული საბჭოთა კალათბურთელი ოთარ ქორქია, რომლის ინიციატივას ჩვენ, რასაკვირველია, მივესალმებით და იმედი გვაქვს მისი აღზრდილები მალე მოიპოვებენ საერთო აღიარებას.

ჯ. მაკლენდონმა სთქვა, რომ საბჭოთა კალათბურთი სწორ გზაზე დგას და შეიძლება სულ მოკლე ხანში ამერიკელ კოლეგებს მონოპოლიის დათმობა მოუხდეთ.

კალათბურთში 1961 წლის სსრ კავშირის პირველობის კალენდარი

26 ივნისს თბილისის „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდი იწყებს საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს. ჩვენი კალათბურთელების შეხვედრათა კალენდარი ასეთია (მატჩები გაიმართება პირველად დასახელებულ გუნდების მოედნებზე):

I წრე

26 ივნისი — სკიფი (კიევი)-„დინამო" (თბილისი),

30 ივნისი — „დინამო" (მოსკოვი)-„დინამო" (თბილისი),

2 ივლისი — ცსკა-„დინამო" (თბილისი),

6 ივლისი—„დინამო" (თბილისი)-„სპარტაკი" (ლენინგრადი),

8 ივლისი — „დინამო" (თბილისი)-„ბურევესტნიკი" (ლენინგრადი),

13 ივლისი. — „ჟალგირისი" (კაუნასი)-„დინამო" (თბილისი),

16 ივლისი — სკა (რიგა)-„დინამო" (თბილისი).

II წრე

20 აგვისტო — „დინამო" (თბილისი)-სკა (რიგა),

22 აგვისტო — „დინამო" (თბილისი)-სკიფი (კიევი),

28 აგვისტო — „დინამო" (თბილისი)-„ჟალგირისი" (კაუნასი),

30 აგვისტო — „დინამო" (თბილისი)-ცსკა,

9 სექტემბერი — „დინამო" (თბილისი)-„დინამო" (მოსკოვი),

13 სექტემბერი — „სპარტაკი" (ლენინგრადი)-„დინამო" (თბილისი),

16 სექტემბერი — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) - „დინამო" (თბილისი).

მძლეოსნურ სექტორებზე

ჩვენი ქვეყნის მძლეოსნები ემზადებიან საკავშირო პირველობისათვის, რომელიც თბილისში გაიმართება. ამ დღეებში მოსკოვში, ლენინგრადში და კიევში ჩატარდა ამ ქალაქების უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება, რომლებიც რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. მოსკოვში ლენინის სახელობის სტადიონზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა პ. ბოლოტნიკოვმა პირველ დღეს ძალები სცადა 1.500 მ რბენაში და ე. ტერნოვსკის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა. მათ ადგილები შეიცვალეს მეორე დღეს 5.000 მ რბენაში, როცა პ. ბოლოტნიკოვმა აჩვენა 14.12,8 და 10,2 წამით აჯობა ტერნოვსკის.

ტრავმის გამო ორწლიანი შესვენების შემდეგ სიმაღლეზე ხტომის სექტორს დაუბრუნდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. კაშკაროვი, (ბრუმელს მონაწილეობა არ მიუღია შეჯიბრებაში). მან აიღო 205 სმ.

ლენინგრადის ტურნირიდან აღსანიშნავია, რომ შესანიშნავ ფორმაში არიან დები თ. და ი. პრესები. ი. პრესმა მოიგო რბენა 100 მ — 11,9 წ და 80 მ თარჯრბენი — 11,2 (წინასწარ გარბენში — 11,0 წ.). მისი და თ. პრესი უძლიერესი იყო ბირთვის კვრაში — 16 მ 35 სმ და ბადროს ტყორცნაში — 51 მ 94 სმ. 1.500 მ რბენაში ა. არტინიუკმა აჩვენა 3.52,5.

კიევის მძლეოსანთა შეჯიბრებიდან აღსანიშნავია რ. მაკოშინას გამარჯვება 80 მეტრზე თარჯრბენში, მისი დროა 11,0.

ამას წინათ ლესელიძეში გაიმართა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება.
სურათებზე: მარცხნივ — შუბის ტყორცნაში გამარჯვებული მოსკოველი სპორტის ოსტატი ვ. კუზნეცოვი, რომელმაც აჩვენა 81 მ 44 სმ. მარჯვნივ — ოლიმპიური ჩემპიონი ვ. რუდენკოვი ტყორცნის უროს.
ფოტო ვ. სემიონოვისა.

საერთაშორისო შეხვედრები

ბელგრადი

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩის V ტურში საბჭოთა გროსმაისტერებმა და ოსტატებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 6:4. აღსანიშნავია გროსმაისტერ გელერის პარტია ოსტატ ჩირიჩთან. ენერგიული თამაშით გელერმა 29-ე სვლაზე აიძულა მეტოქე დანებებულიყო. კორჩნოი ყაიმზე შეუთანხმდა მატულოვიჩს.

წინა დღით შმიტ (საბჭოთა კავშირი)-პარმას გადადებულ პარტიაში მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

5 ტურის შემდეგ საბჭოთა მოჭადრაკეებს მიჰყავთ ანგარიში 27:23.

△

ტაშკენტი

ტაშკენტში გაიხსნა შუა აზიის რესპუბლიკების, ინდოეთის, ინდონეზიისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი. შეჯიბრების მონაწილეთა შორის არიან ლიტველი გროსმაისტერი ხოლმოვი, უზბეკი ოსტატი მუხიტდინოვი, ინდოეთის ჩემპიონი ოსტატი აარონი, გასული წლის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ოსტატი გრუშევსკი და სხვები.

შეჯიბრება დაიწყო ხოლმოვისა და მუხიტდინოვის ყაიმით და აარონის დამარცხებით ყირგიზელ მოჭადრაკესთან.

რესპუბლიკის ახალგაზრდობა მასობრივად უნდა დაეუფლოს სპორტის ტექნიკურ სახეობებს!

სპორტულ წოდებათა და თანრიგების მინიჭების შესახებ საბჭოთა კავშირის დოსაფის ორგანიზაციებში

1961-1964 წლების საკავშირო ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის დებულების შესაბამისად ავიასამოდელო, საავტომობილო, საველტმფრენო, მოტო, სპარაშუტო, საპლანერო, წყალქვეშა და ავიასპორტში, აგრეთვე საზღვაო სპორტულ მრავალჭიდში I, II და III თანრიგს და ავიასამოდელო, მოტო, წყალქვეშა სპორტსა და საზღვაო სპორტულ მრავალჭიდში ჭაბუკთა თანრიგს ანიჭებენ ორგანიზაციები, წარმოებანი და დაწესებულებანი არსებული ინსტრუქციის შესაბამისად.

I. სპორტულ წოდებათა და თანრიგების მინიჭების წესი

1. სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდებას ანიჭებენ სპორტის სახეობათა საკავშირო ფედერაციები პირველადი ორგანიზაციებისა და დოსაფ-ის მოკავშირე რესპუბლიკების კომიტეტების (რსფსრ-ში —სამხარეო, საოლქო და ახსრ კომიტეტების) წარდგინების საფუძველზე.

2. პირველ სპორტულ თანრიგს ანიჭებენ:

ა) მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთაც არა აქვთ საოლქო დაყოფა — მოკავშირე რესპუბლიკათა სპორტული ფედერაციები, ხოლო, იქ, სადაც არ არის ფედერაციები —დოსაფ-ის რესპუბლიკური კომიტეტები დოსაფ-ის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, აგრეთვე რესპუბლიკურ სპორტულ სექციათა წარდგინების საფუძველზე.

ბ) იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც არის საოლქო დაყოფანი — დოსაფ-ის სამხარეო, საოლქო, ახსრ კომიტეტები, დოსაფ-ის რაიონული, საქალაქო კომიტეტების, აგრეთვე სამხარეო, საოლქო და ახსრ სპორტულ სექციათა წარდგინების საფუძველზე.

გ) დოსაფ-ის საქალაქო კომიტეტები, ცალკეული უმაღლესი სასწავლებლები, სპორტული კლუბები, რომლებსაც სპორტის შესაბამის სახეობებში აქვთ მაღალი მაჩვენებლები, ასეთი კომიტეტების, უმაღლესი სასწავლებლების, კლუბების სიას ამტკიცებენ დოსაფ-ის რესპუბლიკური სამხარეო, საოლქო, ახსრ კომიტეტები სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების საკავშირო საბჭოსთან შეთანხმებით.

3. II და III სპორტულ თანრიგს ანიჭებენ: დოსაფ-ის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, სპორტული კლუბები დოსაფ-ის პირველადი ორგანიზაციების წარდგინების საფუძველზე.

დოსაფ-ის საოლქო, სამხარეო, ახსრ კომიტეტების გადაწყვეტილებით II და III თანრიგების მინიჭების უფლება შეიძლება მიეცეთ უმაღლეს სასწავლებლებს, თვითმოქმედ სპორტულ კლუბებს, დოსაფ-ის ცალკეულ პირველად ორგანიზაციებს, რომლებსაც სპორტის შესაბამის სახეობებში აქვთ მაღალი მაჩვენებლები.

4. III სპორტულ თანრიგს ანიჭებენ დოსაფ-ის პირველადი ორგანიზაციები და თვითმოქმედი სპორტული კლუბები, რომლებიც სპორტის შესაბამის სახეობაში არანაკლებ 50 რეგულარულად მომეცადინეს ითვლიან. ასეთი ორგანიზაციების სიას ამტკიცებენ დოსაფ-ის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ისეთ სპორტსმენებს, რომლებიც მცირერიცხოვან ორგანიზაციებში იმყოფებიან, თანრიგს ანიჭებენ დოსაფ-ის საქალაქო და რაიონული კომიტეტები.

5. მოზარდთა I და II თანრიგს ანიჭებენ პირველად ორგანიზაციათა კომიტეტები, საშუალო სკოლებისა და სპეცსასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების, ბავშვთა ტექნიკური სადგურების, პიონერთა სახლების დირექტორები.

6. სპორტის ოსტატის წოდების მინიჭებისათვის დოსაფ-ის პირველადი ორგანიზაციები დოსაფ-ის შესაბამის კომიტეტებში აგზავნიან სპორტსმენის შევსებულ ჩასათვლელ საკლასიფიკაციო წიგნაკს, დადგენილი ნიმუშის საღრიცხვო ბარათს, წარდგინებასა და 2 ფოტოსურათს (3×4 სმ).

7. I სპორტული თანრიგის მინიჭებისათვის დოსაფ-ის პირველადი ორგანიზაციები დოსაფ-ის შესაბამის კომიტეტებს უგზავნიან სპორტსმენის შევსებულ ჩასათვლელ საკლასიფიკაციო წიგნაკს და დადგენილი ნიმუშის საღრიცხვო ბარათს.

8. II სპორტული თანრიგის მინიჭებისათვის დოსაფ-ის პირველადი ორგანიზაციები დოსაფ-ის შესაბამის კომიტეტებს ან სხვა ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ II თანრიგის მინიჭების უფლება, უგზავნიან დადგენილი ნიმუშის საღრიცხვო ბარათს.

9. დოსაფ-ის კომიტეტები და სხვა ორგანიზაციები, რომლებსაც უფლება აქვთ მიანიჭონ სპორტული თანრიგი წარდგენილი დოკუმენტების გულდასმით შემოწმების შემდეგ, თავიანთი დადგენილებით (ბრძანებით) ანიჭებენ შესაბამის სპორტულ თანრიგს.

II. ხათანრიგო ნიშნები და ჩასათვლელი საკლასიფიკაციო წიგნაკები

10. იმ სპორტსმენთა დასაჯილდოებლად, რომელთაც მიენიჭათ სპორტული წოდება და თანრიგი, შემოღებულია შემდეგი სამკერდე ნიშნები:

ა) სსრ კავშირის სპორტის ოსტატის სამკერდე ნიშანი;

ბ) I თანრიგის სამკერდე ნიშანი;

გ) II და III თანრიგის სამკერდე ნიშანი;

დ) ჭაბუკთა I და II თანრიგის სამკერდე ნიშანი.

11. იმ სპორტსმენებზე, რომლებსაც მიენიჭათ სპორტის ოსტატის წოდება, სამკერდე ნიშანს (და მასთან ერთად მოწმობას) გასცემს საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭო.

სპორტის ოსტატის სამკერდე ნიშანი და მოწმობა იგზავნება დოსაფ-ის ცენტრალურ კომიტეტში იმ ორგანიზაციის მისამართით, რომლის სპორტსმენსაც წარმოადგენს მისი მომპოვებელი, ხოლო დოსაფ-ის ცენტრალური კომიტეტის რწმუნებით მათ სპორტსმენს გადასცემს დოსაფ-ის შესაბამისი კომიტეტი.

12. I და II თანრიგის ნიშანს გასცემს ის ორგანიზაცია, რომელსაც ამ თანრიგების მინიჭების უფლება აქვს, ხოლო მათ სპორტსმენს გადასცემენ დოსაფ-ის ის პირველადი კომიტეტები, რომელთა წევრებიც არიან სპორტსმენები.

13. III და მოზარდთა თანრიგის ნიშნებს სპორტსმენებს აძლევენ ორგანიზაციების პირველადი კომიტეტები, ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო სკოლების, სპეციალური სასწავლებლებისა და ა. შ. დირექტორები სასწავლებლებსა და საწარმოებში.

14. სპორტსმენთა საკლასიფიკაციო ჩათვლის წიგნაკები ორი ტიპისაა:

ა) სპორტის ოსტატისა და I თანრიგოსნისათვის.

ბ) II, III და მოზარდთა თანრიგის სპორტსმენებისათვის.

15. საკლასიფიკაციო ჩასათვლელი წიგნაკების გაცემას, აგრეთვე აღნიშნულებს თანრიგის მომატების შესახებ აწარმოებენ დოსაფ-ის ის კომიტეტები, რომლებსაც ეკუთვნიან სპორტსმენები.

16. საკლასიფიკაციო ჩასათვლელი წიგნაკების რეგისტრაცია საჭიროა დოსაფ-ის იმ ორგანიზაციების მიერ, რომლის წევრიცაა მისი მფლობელი სპორტსმენი, რის გარეშე წიგნაკი კარგავს ძალას. წიგნაკი წარმოადგენს აგრეთვე სპორტსმენის მოწმობას და წარუდგენს მას მსაჯთა კოლეგიას, უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებაში თავისი ორგანიზაციის სახელით.

17. საკლასიფიკაციო წიგნაკის ან სათანრიგო ნიშნის დაკარგვის შემთხვევაში, თუ ეს ფაქტი მოხდა განსაკუთრებულ შემთხვევაში და ჩრდილს არ აყენებს სპორტსმენის ქცევას, სექციის კრების შუამდგომლობით სპორტსმენს მიეცემა წიგნაკის ან ნიშნის დუბლიკატი.

შენიშვნა: დოსაფ-ის კომიტეტები სათანრიგო ნიშნებსა და საკლასიფიკაციო ჩასათვლელ წიგნაკებს განაცხადით შეიძენენ შესაბამის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირებში.

III. აღრიცხვა და ანგარიშგება

18. დოსაფ-ის კომიტეტები, ორგანიზაციები, წარმოება-დაწესებულებანი სპორტული თანრიგის მიკუთვნების შემთხვევაში აწარმოებენ სპორტსმენ-თანრიგოსანთა პერსონალურ აღრიცხვას და მიკუთვნებული თანრიგების შესახებ დადგენილი წესით აცნობებენ დოსაფ-ის ზემდგომ ორგანიზაციებს.

19. პირველად ორგანიზაციებში ხდება ყველა სპორტსმენ-თანრიგოსნის პერსონალური აღრიცხვა.

20. დოსაფ-ის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები სპორტის ცალკეულ სახეობებში სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების შესახებ ანგარიშს წარადგენენ ზემდგომ ორგანიზაციებში მოხსენებითი ბარათის სახით.



ინსტრუქცია

ლ ე ლ ო

ნავები სწარჯზე

ამ დღეებში თბილისში გაიმართა შეჯიბრება სახალხო ნიჩბოსნობაში. სტარტზე გამოვიდა 15 გუნდი. პირველ გაცურვაში უძლიერესი იყო თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი. მეორე გაცურვაში კარგი შედეგი აჩვენეს დოსაფის საზღვაო კლუბის შეოთხე გუნდმა და ელექტროტექნიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივმა, მესამე გაცურვაში გაიმარჯვეს „ელექტრომამოძრავებელის“ სპორტსმენებმა. ფინალური შეხვედრები აღინიშნა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდის უპირატესობით, რომელმაც პირველმა დაამთავრა 2-კილომეტრიანი დისტანცია. გამარჯვებულს ნავის ნახევარი კორპუსით ჩამორჩა ქარხანა „ელექტრომამოძრავებელის“ წარმომადგენლები.

ფ. მიაგკოვი

• • •

ამ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ნიჩბოსნებს, რომლებმაც შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს.

ფოტო ვ. ბელენკოსი.

ქართველ პარაშუტისტთა რეკორდები

თბილისის დოსაფ-ის რესპუბლიკური საავიაციო სპორტული კლუბის მოწვევით ამას წინათ თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის მეორე სპარაშუტო აეროკლუბის სპორტსმენ-პარაშუტისტთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გასული წლის მსოფლიო პირველობის პრიზიორი ლ. აკიმოვი, მსოფლიოს რეკორდსმენები, ტ. კუზნეცოვა, ა. ვასინი, სპორტის ოსტატი თ. ივლევი და სხვანი.

რამდენიმე დღეს გაგრძელდა მოსკოვისა და თბილისის სპორტსმენ-პარაშუტისტთა ერთობლივი ვარჯიში. ამ პერიოდში თბილისის ნაკრებმა გუნდმა ბევრი სასარგებლო რამ აითვისა.

საშვრთნელი ვარჯიშების დამთავრების შემდეგ მოეწყო მოსკოველ და ქართველ სპორტსმენ-პარაშუტისტთა ამხანაგური პირად-გუნდური შეჯიბრება. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა სპორტსმენებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ისეთ ძლიერ კოლექტივს, როგორიცაა პარაშუტისტთა მეორე საკავშირო ნაკრები გუნდი, და მთელ რიგ ვარჯიშებში ძლიეს კიდეც მას.

ქალთა შორის მე-2 ადგილი მოიპოვა თბილისის პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ეთერი ვარდიძემ, № 1 მექანიკური ქარხნის მუშამ კ. ლობჟანიძემ ვაჟთა შორის მე-3 საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

შეჯიბრების მსვლელობაში ქართველმა სპორტსმენებმა 2 გუნდური და 4 პირადი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს. ათასი მეტრის სიმაღლიდან ვაჟთა ჯგუფურ ხტომაში გ. ჯიღაური; კ. ლობჟანიძე და ვ. გაჩეჩილაძე 17,3 მეტრით დაშორდნენ ცენტრს. მეორე რეკორდი დამყარებული იქნა ხტომაში ვაჟთა ჯგუფური კომბინირებული დაშვებით 1500 მეტრის სიმაღლიდან, გ. ჯიღაურის, ბ. ჩეგოდაევის და კ. ლობჟანიძის ცენტრზე დაჯდომის საშუალო მაჩვენებელი 12,7 მეტრს უდრიდა.

600 მეტრის სიმაღლიდან ქალთა ერთეულ ხტომაში ე. ვარდიძემ ორი ნახტომის ჯამში აჩვენა 11 მეტრი 600 მეტრის სიმაღლიდან. ვაჟთა ერთეულ ხტომაში გ. ჯიღაურმა — 15,62 მეტრი, 1500 მეტრის სიმაღლიდან ვაჟთა ერთეულ ხტომაში კომბინირებული დაშვებით კ. ლობჟანიძემ ორი ხტომის შედეგად აჩვენა 14,91 მეტრი და ბოლოს ქალთა ერთეულ ხტომაში კომბინირებული დაშვებით რეკორდი დაამყარა ნ. ტონოიანმა.

ყველა ეს სარეკორდო შედეგი ქართველმა სპორტსმენებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს მიუძღვნეს.

ბ. ბაგრიჩიძე

★

იალქნიანი ნავები სოხუმის უურეში

ფოტო ვ. ხემიონოვისა.

★

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

„ბ“ კლასში

„ლოკომოტივი“ (თბილისი)-„რიწა“ (სოხუმი) — 3:1

18 მაისს თბილისელმა ფეხბურთის მოყვარულებმა პირველად ნახეს ჩვენი რესპუბლიკის ახალი გუნდი — სოხუმის „რიწა“, რომელიც სულ ახლახან შეიქმნა და საკავშირო გათამაშების დებიუტანტად მოგვევლინა.

თბილისელებმა ამჯერად უკეთესად ითამაშეს, ვიდრე წინა მატჩებში. მათ მიერ აღებული მაღალი ტემპი სოხუმელებმა მიიღეს და უკვე პირველ წუთებზე ორივე გუნდის კართან ზედიზედ შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი. მე-10 წუთზე „ლოკომოტივმა“ მარცხენა ფრთიდან მარჯვნივ გადაიყვანა ბურთი, სადაც იგი მიიღო ბურდინმა. „რიწის“ მეკარე თბილელაშვილი გაყვა ბურთის მიმართულებას, ვერ შეარჩია კარგად ადგილი და დავითულიანმა გოლით დაამთავრა ბურდინის გადაცემა — 1:0.

სოხუმელებმა ტაიმის დამთავრებამდე ვერ შეძლეს შეთამაშება თავდასხმაში. აქ თითქმის უმოქმედოდ იდგა მარცხენა გარემარბი ზარდანია, ხოლო მარჯვენა შუამარბი გრამატიკოპულო სისტემატურად კარგავდა ბურთებს.

მხოლოდ მეორე ტაიმში გაუმჯობესდა „რიწის“ თამაში და გუნდს მე-7 წუთზე მიეცა ანგარიშის გათანაბრების რეალური საშუალება: მინჯიას გარღვევის შემდეგ „ლოკომოტივის“ ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე და მოსკოველმა მსაჯმა ი. ბოჩაროვმა სამართლიანად დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. პენალტის შესრულების უფლება სოხუმელებმა თავიანთ ცენტრალურ მცველს გიგავას მიანდეს, მაგრამ მან არაზუსტად შეასრულა იგი და აცილა ბურთი კარს.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, სოხუმელები დაიბნენ და ივანოვმა (№ 11) ზედიზედ ორი ბურთი გაიტანა მათს კარში — 3:0.

თამაში ფაქტიურად უკვე წაგებული იყო და სტუმრების თავდასხმა მხოლოდ ახლა ათამაშდა მთელი ძალით. გააქტიურდა ზარდანიაც, რომელმაც გაიტანა კიდეც გოლი, მაგრამ ეს იყო გუნდის პირველი და უკანასკნელი წარმატება.

ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“.

მ. თოფურიძე

• • •

ბაქო. 17 მაისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „სპარტაკმა“ მიიღო რუსთავის „მეტალურგი“.

„მეტალურგმა“ მატჩი მოიგო ანგარიშით 2:1.

• • •

სუმგაითი. ამავე დღეს აქ თამაშობდნენ ადგილობრივი „ტემპი“ და ქუთაისის „ტორპედო“.

თამაში მოიგეს მასპინძლებმა — 2:0.

• • •

გომელი. აქ შედგა მატჩი მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის: „ლოკომოტივი“ (გომელი)-„დინამო“ (ბათუმი).

მატჩის შედეგია 2:0 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

• • •

სურათზე: „ლოკომოტივისა“ და „რიწის“ შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 20 მაისისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ მ.	7	6	0	1	11:4	12
„ავანგარდი“ ხ.	7	4	2	1	8:5	10
„ნეფტიანიკი“ ბ.	8	3	4	1	10:8	10
სკა როსტ.	7	4	1	2	16:7	9
„ლოკომოტ“. მ.	7	2	4	1	9:9	8
„ადმირალტ“. ლ.	7	3	1	3	8:6	7
„დინამო“ თბ.	7	3	1	3	8:8	7
„ტრუდი“ ვორ.	7	1	3	3	4:6	5
„დაუგავა“ რ.	6	1	2	3	7:10	4
„შახტიორი“ სტ.	8	0	4	4	4:13	4
„სპარტაკი“ ვ.	6	0	2	4	4:12	2

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	7	5	0	2	18:8	10
„სპარტაკი“ მ.	6	3	3	0	11:4	9
ცსკა	7	4	1	2	18:13	9
„კაირატი“ ა-ტა	7	3	3	1	9:10	9
„პახტაკორი“ ტაშ.	7	3	2	2	12:13	8
„ზენიტი“ ლ.	8	3	2	3	12:15	8
„სპარტაკი“ ერ.	8	1	5	2	13:15	7
„მოლდოვა“ კიშ.	7	2	2	3	13:12	6
„დინამო“ მ.	7	2	2	3	9:11	6
„ბელარუსი“ მნ.	7	1	1	5	6:12	3
„კალევი“ ტალ.	7	0	3	4	8:15	3

• • •

I ქვეჯგუფი

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) — 0:2
სკა (როსტოვი)-„შახტიორი“ (სტალინო) — 3:0
„ტრუდი“ (ვორონეჟი)-„ავანგარდი“ (ხარკოვი) — 0:1

II ქვეჯგუფი

„სპარტაკი“ (ერევანი)-„კაირატი“ (ალმა-ატა) — 2:2
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)-„დინამო“ (კიევი) — 2:1
„სპარტაკი“ (მოსკოვი)-„მოლდოვა“ (კიშინიოვი) — 0:0
„ზენიტი“ (ლენინგრადი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 2:1
„კალევი“ (ტალინი)-„ბელარუსი“ (მინსკი) — 1:2

მატჩი ბაქოში

ბაქო. 19 მაისი. დღეს რესპუბლიკურ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი „ა“ კლასის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ბაქოს „ნეფტიანიკი“ და თბილისის „დინამო“.

ინტერესი 19 მაისის მატჩისადმი დიდი იყო. თუმცა ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იცოდნენ, რომ თბილისელთა გუნდი საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა სათამაშოდ.

„ნეფტიანიკმა“ განსაკუთრებით კარგად ჩაატარა პირველი ტაიმი. გუნდი ჩვეული სისტემით თამაშობდა დაცვაში, რომელიც, როგორც წესი, გაძლიერებული იყო ერთი მოთამაშით. აქ საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ იყო აყვანილი კალოევი, მაგრამ მას ისედაც იშვიათად მოსდიოდა ბურთები ფლანგებიდან (განსაკუთრებით მელაშვილის მხრიდან), ხოლო მინდვრის შუაგულიდან წარმოებულ ერთფეროვან გადაცემებს დაცვა იოლად უმკლავდებოდა. ტაიმის დასასრულს, დაახლოებით 43-ე წუთზე მამედოვმა კარგად გამოიყენა დინამოელთა მცველისა და მეკარე კოტრიკაძის შეცდომა და გახსნა ანგარიში — 1.0.

მეორე ტაიმში თბილისელებმა მნიშვნელოვნად გამოასწორეს თამაში და კალოევმა გაქვითა კიდეც გოლი — 1:1. მიუხედავად ორივე გუნდის მრავალი ცდისა, ანგარიში მატჩის ბოლომდე არ შეცვლილა.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა ასევე ფრედ — 2:2.

ო. ისმაილოვი

ჩვენი სპეც. კორ.



ნაცნობი ბილიკებით. ფოტოეტიუდი ა. ვართანოვისა.

პირველი საერთაშორისო—სპორტის სასახლეში

გუშინ, თბილისის სპორტის სასახლეში მრავალი ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა პირველი სპორტული ღონისძიება — საქართველოს ხელბურთელებმა თავიანთ პირველ საერთაშორისო შეხვედრაში მიიღეს ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი უნგრეთის ნაკრები. ამ ქვეყნის ნაკრებისათვის ეს იყო 77-ე საერთაშორისო შეხვედრა, თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ უნგრელებმა წელს „ბუქარესტის“ თასზე მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვეს, გასაგები გახდება, თუ როგორ მრისხანე მოწინააღმდეგესთან ჰქონდათ საქმე მასპინძლებს.

მაგრამ შეხვედრის დაწყებისთანავე აშკარა გახდა, რომ საქართველოს ხელბურთელები ოდნავადაც არ შეშინდნენ „ტიტულებით“ და პირველი წუთებიდანვე დაეუფლნენ მოედანს, რასაც მაღალი ტემპისა და ადგილების ხშირი შეცვლით მიაღწიეს. უკვე მესამე წუთზე თ. ანთაძემ შესანიშნავი ტყორცნით გახსნა ანგარიში. მალე მანვე გაიტანა მეორე გოლი და მე-6 წუთზე მეოთხეც. მესამე გოლი გაიტანა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა ჯ. ცერცვაძემ.

ფაქტიურად ეს ორი სპორტსმენი იყო მასპინძელთა ყველა შეტევის სული და გული. სტუმრებმა განსაკუთრებით ვერაფერი გააწყეს ცერცვაძის ღრმად ჩაფიქრებული კომბინაციებისა და ცრუმოძრაობათა წინააღმდეგ. შემდეგ უნგრელებმა თანდათან აუღეს ალღო მასპინძელთა თამაშს და ერთხანს ინიციატივასაც დაეუფლნენ, რის შედეგადაც ჯერ უნგრელმა ი. ადორიანმა, მერე ი. ვოინამ ორი გოლი გაქვითეს.

ამ ერთგვარი წარმატების შემდეგ სტუმრებმა სცადეს საბოლოო გარდატეხა შეეტანათ თამაშში, მოიშველიეს თავიანთი წლების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება და ალბათ მიაღწევდნენ კიდეც სასურველს, ერთ-ერთ მცველს საკუთარ კარში რომ არ გაეგზავნა ანთაძის ნატყორცნი ბურთი.

შესვენებამდე თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, რასაც უნგრელები ახერხებდნენ მოთამაშეთა ხშირი შეცვლით. ტაიმი დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 10:7.

მეორე ნახევარში უნგრელებმა შეცვალეს მეკარე, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო. საქართველოს ხელბურთელებმა დაცვაში დაუშვეს შეცდომა და ვოინამ ორ გოლამდე შეამცირა სხვაობა.

როცა ანგარიში იყო 13:10 მასპინძლების სასარგებლოდ, ცერცვაძემ ორი შესანიშნავი პენალტი გაიტანა და კვლავ დააწინაურა გუნდი. საბოლოოდ შეხვედრა მოიგეს საქართველოს სპორტსმენებმა—17:15.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 20 მაისისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სიხარული“ მახ.	7	5	2	0	21:7	12
ფიზკ. ინსტ. თბ.	6	5	1	0	16:3	11
„მეშახტე“ ტყიბ.	7	4	2	1	12:5	10
„ბახმარო“ ჩოხ.	7	4	1	2	13:16	9
„განთიადი“ ბათ.	6	3	2	1	10:5	8
სკა თბილისი	7	3	2	2	11:8	8
„შუქურა“ ქობ.	7	3	2	2	13:11	8
„მაღარო“. ჭიათ.	7	3	1	3	9:8	7
„იმერეთი“ ქუთ.	7	2	3	2	11:10	7
„სალხინო“ გეგეჭ.	7	2	1	4	12:14	5
„კოლხიდა“ ხობი	7	1	3	3	6:8	5
„კოლმ“. თელ.	7	0	3	4	9:23	3
„დინამო“ სოხუმი	7	0	2	5	7:16	2
„მექ.“. ადიგენი	7	0	1	6	6:18	1

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“ ლანჩხ.	7	7	0	0	24:7	14
„სპარტაკი“ სტ.	7	5	0	2	11:10	10
„განთიადი“ ცხაკ.	7	4	1	2	10:7	9
„ლოკ“. სამტრ.	7	4	0	3	12:9	8
„დილა“ გორი	7	3	1	3	9:8	7
„დურუჯი“ ყვარ.	7	3	1	3	11:14	7
„ოდიში“ ზუგდ.	7	3	0	4	14:12	6
„სპარტ“. თბ.	6	2	2	2	3:4	6
„ფეიქარი“ წულ.	7	3	0	4	11:19	6
„მესხეთი“ ახალც.	7	2	1	3	11:10	5
„მეზღ.“ ფოთი	7	1	3	3	5:7	5
„მშენებ.“ ქუთ.	7	1	3	3	7:11	5
„ისანი“ თბ.	7	2	0	5	15:16	4
„სპარტ.“ რუსთ.	7	1	2	4	9:16	4



მოსკოვში გამართულ წყალში მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრების მაყურებლებმა იხილეს XVII ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონის ი. კრემერის ბრწყინვალე ოსტატობა, რომელმაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენს პირველი ადგილი მოუტანა.

• • •

სურათზე: მარცხნივ — ი. კრემერი ასრულებს ხტომას. მარჯვნივ — ი. კრემერი.

„სპარინგ-მატჩი" ვარშავაში

21 მაისს ვარშავაში ერთმანეთს ხვდებიან საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდები. ეს ორივე მხარისათვის „სპარინგ-მატჩს" წარმოადგენს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების წინ. როგორც ცნობილია, უკვე 4 ივნისს პოლონელები ბულგარეთში უნდა შეხვდნენ იუგოსლაველებს, ხოლო საბჭოთა კავშირის ნაკრები 18 ივნისს ეთამაშება თურქებს. ვარშავის მატჩმა უნდა ნათელყოს ორივე ნაკრების მზადყოფნა მომავალი შეხვედრებისათვის.

უკანასკნელ წლების მანძილზე საბჭოთა და პოლონელი ფეხბურთელები არაერთგზის შეხვდნენ ერთმანეთს. მსოფლიოს VI ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში (მოსკოვსა და ლაიპციგში) გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, მაგრამ წააგეს ხოჟუვში. ამ გუნდების შარშანდელი მატჩი მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა ფეხბურთელების დიდი უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით (7 : 1).

ამ დღეებში პოლონური გაზეთის „სპორტის" (ქ. კატოვიცე) კორესპონდენტები ესაუბრნენ მწვრთნელებს კლუგსა და კაჩალინს. პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში ემზადებოდა 18 ფეხბურთელი. ესენი არიან მეკარეები შიმკოვიაკი და ვილქინსკი; მცველები — შეპანსკი, კავულა, ვოჟნიაკი, ოსლიზლო, კრჟიჟანოვსკი; ნახევარმცველები — კოვალსკი, ზენტარა, გრიგორჩიკი, თავდასხმა — პო[illegible] ქი, ბრიხჩი, ვოლქაკი, პოლი, [illegible] ნტერი [illegible] არეკი [illegible] შეჯიბრების [illegible]

[illegible] დაადგინა ძირითადი შემადგენლობა, რომელიც ასე გამოიყურება: შიმკოვიაკი; შეპანსკი, კავულა, ვოჟნიაკი; კოვალსკი, ზენტარა; პოლოკი, ბრიხჩი, ვოლქაკი, პოლი და ლენტერი.

„კაჩალინი არ ცვლის თავდასხმას! — ასეთი სათაურით აქვეყნებს გაზეთი „სპორტი" (ქ. კატოვიცე) წერილს მოსკოვიდან. აი საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობა: იაშინი, მედაკინი, ნეტო, ჩოხელი, მანოშინი, ვორონინი; მეტრეველი; ივანოვი, კონელელნიკი, ბუბუკინი, მესხი".

გასწორება

ჩვენი გაზეთის 30 აპრილის ნომერში მეოთხე გვერდზე დაბეჭდილია ინფორმაცია სათაურით: „ტყვიით სროლა", რომლის უკანასკნელ აბზაცში დაშვებულია შეცდომა საიუბილეო სპარტაკიადაზე ტყვიით მსროლელთა გუნდური შეჯიბრება პირველ ჯგუფში მოიგო სოხუმის პედინსტიტუტმა და არა თბილისის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა.

თბილისის რაიონის სოფ. უწერის სკოლის მოსწავლეებს ბ. გუგეშაშვილს, ნ. და ბ. ჩილაძეებს აინტერესებთ: კალათბურთელთა რომელი საკლუბო გუნდია ყველაზე ძლიერი საბჭოთა კავშირში და ვინ არის მისი წამყვანი მოთამაშე?

დღეისათვის საბჭოთა კავშირში კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივებს შორის უძლიერესად ითვლება არმიის სპორტული კლუბის კოლექტივი. გაცილებით ძნელია პასუხის გაცემა მეორე კითხვაზე — კერძოდ, ვინ არის ამ გუნდში წამყვანი მოთამაშე. გუნდი დაკომპლექტებულია ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კალათბურთელებით, რომელთა შორის გამოირჩევიან ცენტრალური თავდამსხმელი ვ. ზუბკოვი, აგრეთვე გ. ვოლნოვი და ა. ალაჩაჩიანი.

△

ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტები დ. ძაგნიძე და მ. ჯულაყიძე გვეკითხებიან:

ვის მიერ და როდის იქნა დამყარებული მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში?

ჩვენს მკითხველებს ალბათ მხედველობაში აქვთ მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის. იგი ეკუთვნის ამერიკელ ზანგ მძლეოსან ჯონ თომასს და უდრის 222 სანტიმეტრს. რეკორდი დამყარებულ იქნა 1960 წელს, ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე.

△

სამტრედიის რაიონის სოფ. მელაურის მცხოვრებნი რ. და თ. სტურუები გვეკითხებიან:

1) რომელ წელს შევიდა ძალაში უმაღლესი საფეხბურთო სასჯელი — 11-მეტრიანი საჯარიმო?

2) ვინ იყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პირველი პრეზიდენტი, რომელ წელს ჩამოყალიბდა ეს ფედერაცია?

1) 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში შემოღებულ იქნა ინგლისში 1891 წელს. იგი დაინიშნა „ნოტს კაუნტისა" და „სტოკ სიტის" მატჩში მომხდარი ინციდენტის შემდეგ.

2) ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა 1904 წელს. მისი პირველი პრეზიდენტი იყო ფრანგი ჟიულ რიმე, რომლის სახელიც ამჟამად ატარებს მსოფლიო პირველობის გათამაშებას.

△

სპორტის მოყვარულები რ. ტყემალაძე და დ. გოგინაშვილი ბაქოდან გვეკითხებიან: მიმდინარე წლის 14 სექტემბერს შვეციის ქალაქ გეტებორგში შედგება მატჩი კრივში მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეებს ი. იუჰანსონსა (შვეცია) და ფ. პატერსონს შორის. გვაინტერესებს რამდენჯერ შეხვდნენ ისინი ერთმანეთს, რა იცით ფ. პატერსონის შესახებ, რამდენ წუთს გრძელდება რაუნდი კრივში?

1. ი. იუჰანსონი და ფ. პატერსონი დღემდე სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, პირველად, როცა მსოფლიო ჩემპიონი იყო პატერსონი, გამარჯვება მოიპოვა იუჰანსონმა. შემდგომში პატერსონმა შეძლო რევანშის აღება და კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა.

ფ. პატერსონი ზანგი მოკრივეა. მან 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ჰელსინკში მოიგო ოქროს მედალი მეორე საშუალო წონაში, შემდეგ გადავიდა პროფესიონალებში და გახდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი.

2. რაუნდის ხანგრძლივობა კრივში უდრის 3 წუთს.

საქართველოს საშენ მასალათა მომარაგება-გასაღების სამმართველოს თანამშრომელი ო. სანიკიძე გვეკითხება:

1. თუ ქუთაისის „ტორპედო" და თბილისის „ლოკომოტივი" პირველ ადგილებს დაიკავებენ „ბ" კლასის შეჯიბრებაში მოკავშირე რესპუბლიკათა I და II ზონებში, ითამაშებენ თუ არა ისინი „ა" კლასში?

2. სპორტის ისეთ სახეობაში, სადაც რეკორდებია რეგისტრირებული, ღებულობენ თუ არა მსოფლიო რეკორდსმენები სპეციალურ ხელფასს რეკორდისათვის, ან მსოფლიო ჩემპიონები თუ ღებულობენ რაიმე ანაზღაურებას?

3. მონაწილეობენ თუ არა მსოფლიო პირველობებზე პროფესიონალური გუნდები.

1. „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა ზონებში პირველ ადგილებზე გამოსული გუნდები, აგრეთვე „ა" კლასის გუნდი, რომელიც ბოლო ადგილს დაიკავებს მოკავშირე რესპუბლიკათა გუნდებს შორის (რსფსრ-სა და უკრაინის გუნდებს გარდა), ერთმანეთს ხვდებიან ფინალურ მატჩებში ორ წრედ ერთ ნეიტრალურ ქალაქში. ამ ტურნირში პირველ ადგილზე გამოსული გუნდი 1962 წელს ითამაშებს „ა" კლასში.

2. არც რეკორდისათვის, არც ჩემპიონობისათვის გასამრჯელო არ არსებობს. ამგვარი ანაზღაურება აქვთ მხოლოდ პროფესიონალებს.

3. გააჩნია რა სახეობებში. ფეხბურთში, მაგალითად, პროფესიონალები მონაწილეობენ, ხოლო ჰოკეიში, კალათბურთსა და სხვა სახეობებში — არა.

△

რედაქციაში შემოვიდა ქ. გუმბერიძის წერილი, სადაც იგი გვეკითხება:

1. სად იმყოფება მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი მწვრთნელი მ. იაკუშინი; 2. რატომ შეიცვალა ფეხბურთის მსაჯის ძველი სასტვენი ახლით?

1. სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. იაკუშინი ამჟამად პენსიაზეა გასული.

2. ფეხბურთის მსაჯთა ახალი სასტვენი რეკომენდებულია ფიფა-ს მიერ, ვინაიდან მას ძველთან შედარებით უფრო მკვეთრი ხმა აქვს.

„ა" კლასში გადასვლისათვის

ყირგიზეთის დედაქალაქ ფრუნზეში დამთავრდა ლიტვის, ბელორუსიის, სომხეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, მოლდავეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების შესარჩევი შეჯიბრება.

დებულების თანახმად შეჯიბრებაში ოთხმა გამარჯვებულმა გუნდმა მიიღო საბჭოთა კავშირის 1962 წლის პირველობაში („ა" კლასში) მონაწილეობის უფლება. ესენია: ბელორუსიის, ლიტვის, თურქმენეთისა და უზბეკეთის ფრენბურთელები.

საერთაშორისო შეჯიბრება ჰელსინკში

მოტოციკლისტთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება ჩატარდა ჰელსინკში. რკალურ საგზატკეცილო რბოლაში ევროპის ქვეყნების 9 კოლექტივი იბრძოდა უძლიერესის სახელისათვის. სპორტსმენებს 2-კილომეტრიანი ტრასა უნდა გაევლოთ 25-ჯერ. საბჭოთა სპორტსმენები ნ. სევოსტიანოვი და ვ. პილაევი გამოდიოდნენ 350 კუბატურის მანქანებით შეჯიბრებაში.

გამარჯვება მოიპოვა სამხრეთ როდეზიის სპორტსმენმა რობინსონმა, რომელმაც 9 წამით მოუგო ავსტრიელ როსპერს. ნ. სევოსტიანოვი მესამე ადგილზეა.

მეორე ტური გაიმართა ტურკუში, აქ უძლიერესები იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები.

რედაქტორი ი. უგულავა.

20-21 მაისს

„ბურევესტნიკის"

სპორტდარბაზი

(ციროვის სახ. პარკი)

საქართველოს

პირველობა

ქართულ

ჭიდაობაში

(ვაჟკაცთა შორის)

დასაწყისი 18 საათზე.

დღეს!

სპორტის სასახლეში

ხელბურთი

7:7

უნგრეთი-

საქართველო

დასაწყისი 20 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01014